

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

## ENJAMBEMENT

### III. ანუამბემანი, როგორც პოეტური ხერხი

გადატანა არ არის სტილისტიკურად ნეიტრალური მოვლენა. ყოველი ანუამბემანის მხატვრული დანიშნულების ძიება, რასაკვირველია, გაუმართლებელია, მაგრამ მისი კანონზომიერი გამოყენება სხვადასხვა ფუნქციით უფლებას გვაძლევს ვისაუბროთ გადატანაზე, როგორც პოლიფუნქციურ პოეტურ ხერხზე.

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც უპავი ითქვა, გადატანის რამდენიმე სახეობას გამოყოფენ. ძირითადია ტაქტობრივი ანუამბემანი, შედარებით იშვიათი - გადატანა სტროფიდან სტროფში ანუ სტროფული ანუამბემანი. მიუთითებენ აგრეთვე ცეზურულ ანუამბემანზე (20, 154; 40, 71), თუმცა ეს აზრი ყველა ლექსმცოდნის მიერ არ არის გაზიარებული (24, 206).

გადატანის ფუნქციურ დანიშნულებაზე მსჯელობისას ჩვენ უპირატესად მიგმართავთ მის ძირითად სახეობას - ტაქტობრივ ანუამბემანს.

გადატანის, როგორც პოეტური ხერხის, დიდი გამომსახულობითი შესაძლებლობანი, კარგა ხანია, შენიშნულია მკვლევართა მიერ (34, 165; 36, 43). მის ფუნქციონირებას საფუძვლად უდევს ის სტრუქტურულ-სინტაქსური თავისებურებანი, რომლის შესახებ, ნაწილობრივ, ზემოთ ვისაუბრეთ.

სალექსო ფრაზა, როგორც ცნობილია, რიტმულ-სინტაქსური მოვლენაა. ლექსის სინტაქსის სპეციფიკას მისი რიტმული ორგანიზაცია განსაზღვრავს, რაც ხაზგასმით აქვთ ადნიშნული ობრიკე, ი. ტინიანოვს, ბ. ტომაშევსკის, ვ. ჟირმუნსკის, ს. ბერნშტეინს, ბ. ეიხენბაუმს და სხვებს. ფრაზის სინტაქსი აიგება არა აზრობრივი, არამედ რიტმული დაყოფის საფუძველზე (43, 328-329). ამ ვთარებას ზუსტად ასახავს ო. ბრიკის ტერმინი “რიტმული სინტაქსი” (14, 32).

თუ უფრო დაგაკონკრეტებთ, ლექსის სინტაქსის ძირითადი ნიშანი ის არის, რომ, პროზისაგან განსხვავებით, სადაც სიტყვათა რიგი, მეტ-ნაკლებად, განსაზღვრულია, სალექსო მეტყველებაში ის ბევრად თავისუფალია. ამას მოითხოვს მეტრული ნორმა, რომლის რეალიზაცია სიტყვათა სტაბილური განლაგების პირობებში, სიტყვათა რიგის ვარიირების გარეშე შეუძლებელია.

სიტყვათა რიგის თავისუფლებასთან ერთად

უნდა აღინიშნოს სალექსო მეტყველების მეორე არსებითი თავისებურებაც. თუ პროზაში ფრაზის სინტაქსურ დაყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს ისრულებს ფრაზული და ლოგიკური მახვილები, ლექსში, როგორც ბ. ტომაშევსკი აღნიშნავს, “ფრაზული მახვილის უქონლობა ქმნის სიტყვიერ მახვილთა თანასწორუფლებიანობას”; “ლექსი არის მეტყველება ლოგიკური მახვილის გარეშე” (36, 313).

ამრიგად, სიტყვათა რიგი, ფრაზული და ლოგიკური მახვილები, ე.ი. ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პროზაში სინტაქსურ დაყოფას, ლექსში არ მოქმედებენ. ლექსში ეს ფუნქცია, ე.ი. სინტაქსური დაყოფის ფუნქცია, უკავშირდება გ.წ. ძლიერ პოზიციებს. “ლექსში სიტყვა ექსპრესიულად წინ წამოიწევს ან იმალება სალექსო ტავისი ადგილდებარების მიხედვით” (25, 57). ასეთ ძლიერ პოზიციებს მიეკუთვნება ტავის ბოლო, ნახევარტავის ბოლო, შიდარიობა, ცალკე სტრიქონად გამოყოფა. მათ შორის არის ანუამბემანი, როგორც ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება.

გადატანა ლექსში ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც პროზაში - ფრაზული და ლოგიკური მახვილები. ეს არის ძირითადი, სინტაქსური ფუნქცია ანუამბემანისა, რომელსაც ეფუძნება გადატანის, როგორც პოეტურ-სტილისტური ხერხის, მოქმედება.

გადატანის სტრუქტურული, სინტაქსური ფუნქცია პრაქტიკულად იმაში გამოიხატება, რომ ანუამბემანი ზემოქმედებს წინადადების სტრუქტურაზე მისი შემადგენელი ელემენტების სინტაქსურ-ინტონაციური იზოლაციის გზით. იგი იწვევს ლექსის დამატებით სინტაგმატურ დაყოფას, ქმნის ახალ სინტაგმათაშორის საზღვრებს წინადადებაში, მეტოდიურად აფორმებს სინტაგმებს, აძლიერებს ფრაზულ თუ სინტაგმის მახვილს. ანუამბემანის სინტაქსური ფუნქცია ქმნის სტრუქტურულ საფუძველს კომუნიკაციური, ექსპრესიული, სემანტიკური თუ სხვა ფუნქციების განსახორციელებლად.

\*\*\*

ცნობილი ფრანგი ესთეტიკოსი ჟან მარი გუიო აღნიშნავს, რომ გადატანის მეშვეობით “ლექსი

იტევს მეტ იდეებს, მეტ გრძნობებს, მასში გროვდება, ასე ვთქვათ, მეტი ფარული ემოცია, მეტი ნერვული ძალა...“ (33, 45).

ეს ნიშნავს, რომ ანუამბემანს უკავშირდება გარკვეული აზრობრივ-სემანტიკური და გრძნობად-ემოციური შინაარსი.

იმ პოეტთა შემოქმედებაში, რომლებიც ზედმიწევნით გრძნობენ ლექსის ფორმის შესაძლებლობებს, ანუამბემანი უპირატესად გააზრებული ხერხის, გამოსახვის უფექტური საშუალებაა. გაუაზრებელი გადატანა, სიტყვათა მექანიკური გათიშვა არამცუუ მხატვრულ უფექტს იძლევა, არამდ გაუმართავ ფრაზას და დაფლებულ ლექსს ქმნის. ამიტომ პოეზიაში, როგორც პ. ტომაშევსკი აღნიშნავს, ყოველთვის საჭიროა ანუამბემანის მოტივირება, გამართლება (37, 442). ვ. უირმუნსკი გადატანას უწოდებს “მხატვრულად გათვლილ დისონანს“ (20, 157). ამ პოეტური, მხატვრული დატვირთვის გარეშე ანუამბემანი შემოქმედებითი უმწერის გამოვლინებად აღიქმება და არა გამოსახვის ძლიერ საშუალებად.

ანუამბემანის ფუნქციათა სპექტრიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ კომუნიკაციური ფუნქცია, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ბაზისური, სინტაქსური ფუნქციიდან. პოეტს მისთვის ლოგიკურ-სემანტიკურად მნიშვნელოვანი სიტყვა ან გამოთქმა გააქვს გადატანის პოზიციაში, რის გამოც ხდება მათი განკურძოება, აქცენტირება - ანუამბემანი წინ წამოსწევს, ინტონაციურად ხაზს უსვამს ამ ლექსიკურ ერთეულებს. ადრესანტი ანუ პოეტი სიტყვის გადატანაში მოქცევით გვატყობინებს, რომ ეს სიტყვა კომუნიკაციის აქტში მისთვის გაანსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

ანუამბემანის კომუნიკაციური ფუნქცია კონკრეტულ გამოყენებას პოლიტიკური მიმართებაში - გადატანა ინტონაციურად გამოყოფს პოეტურ ხატს, როგორც სალექსო ფრაზის ესთეტიკურ ცენტრს. მაგალითად:

რად დამიჭანე მე ყვავილი

**უმაწვილობის**, ჯერ უშლელი.

(ნ. ბარათაშვილი, “ქეთევან”)

თავისებურია ანუამბემანის როლი მხატვრული შედარების სტრუქტურასთან მიმართებაში. გადატანა შედარების ორი სტრუქტურული ელემენტიდან (“საგანი”, “ხატი”), პოეტის მიზანდა-სახულობის შესაბამისად, ერთ-ერთის აქცენტირებას ახდენს. მაგალითად:

აელვარდება მეტი სისწრაფით

**ზე** - ფარშავანგი ზეცის კალთაში.

(ვ. გაფრინდაშვილი, “ორსულ ქალს”)

ჩვენ დავფრინავდით, ვთ ვარდის შტოზე  
**პეპელა** - ტუზის მოსათავილავად.

(ი. გრიშაშვილი, “უნაბისფერი სადამო”)

გადატანის პირველ შემთხვევაში “საგანია” გამოყოფილი, მეორე მაგალითში - “ხატი”.

როდესაც სიტყვათა ჯგუფი, რომელ შიაც მოქცეულია მხატვრული ხახე, ტაქტიდან ტაქტი გადადის, მეტრულ-რიტმულად გამოიყოფა ტაქტის ბოლო სიტყვა, ხოლო სინტაქსურად - გადატანილი სიტყვა ან სიტყვები. იქმნება გამოთქმის

“ორმწვერვალიანობა”, ანუ ფრაზაში ჩნდება ორი ლოგიკური მახვილი, რაც ერთდროულად შედარების ორივე სტრუქტურული ელემენტის აქტივზაციის საშუალებას იძლევა. მაგალითად:

გადნება მზეზე გაფენილ ფიფქად

**ლექსების ზევი**, გულს რომ დაგუბდა,

(ტ. ტაბიძე, “ლექსის დაბადება”)

უფრო ხშირია “საგნისა” და მსგავსების ნიშნის აქცენტირება:

ქარის და წვიმის წვეთები ხშირი

**წყდებოლნენ**, როგორც მწყდებოლა გული.

(ტ. ტაბიძე, “მერი”)

ზოგჯერ ანუამბემანი უშუალოდ მსგავსებითი მიმართების აღმნიშვნელ დამხმარე სიტყვას გამოყოფს. ტონის ამაღლება ერთგვარი ინტონაციური გამოხატულებაა იმ შინაგანი მოლოდინისა, რომელიც “ხატის” გამოჩენას უსწრებს წინ:

მაშინ შეგრჩება გალობა, როგორც

ირმის ნახტომით შექმნილი რგოლი.

(ს. ჩიქოვანი, “მეორე მინაწერი”)

თუ შედარებასთან მიმართებაში გადატანის კომუნიკაციური ფუნქცია სტრუქტურის ელემენტთა აქცენტირებაში ვლინდება, უფრო გავრცელებულია სიტყვის გამოყოფა სემანტიკის ხაზგასმის მიზნით. პოეტები ხშირად სარგებლობენ ანუამბემანის პოტენციური შესაძლებლობებით და ეწ. ძლიერ პოზიციაში გააქვთ მათოვის აზრობრივად მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები. მივმართოთ კონკრეტულ მაგალითს:

მდინარე ნანას უმდერის

**რაინდსა**, ურჩსა მცრისასა,

(ა. წერეთელი, “განთიადი”)

სიტყვა “რაინდის” მიზნობრივი გამოყოფა დამოწმებულ სტრიქონებში, ვფიქრობთ, ეჭვს არ ბადებს - ეს სიტყვა ყველაზე უფრო ზუსტი ეპიოდია სამშობლოსათვის თავდადებული გმირისა, რომლის ნათელ ხსოვნასაც ეძღვნება აკაკის ეს შედევრი.

მივმართოთ ილიას ლირიკას:

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია,

მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი

ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,

თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.

(\*\*\*დაე, თუნდ მოვკვდე“)

ქვეყნის მსახურების გზით სიკვდილზე ამაღლების ბარათაშვილისეული იდეა, რაც ილიას დამოწმებული სტრიქონის შინაარსს ქმნის, ხაზგასმულია კონტექსტისათვის აზრობრივ-სემანტიკურად და ემოციურად უმნიშვნელოვანების სიტყვის - “კვალის” ანუამბემანში გატანით:

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნეორომანტიკული ორიენტაციის პოეტებს გრ. აბაშიძეს აქვს ასეთი სტრიქონები:

მაშინ მე ღრუბლებად, სეტყვის მომგვრელად,

გადავიქცევი! თავისუფალი

წვევალ შორს სადმე... და მშვიდობითა! -

ვეღარ მისილავს აქ შენი თვალი

(“ომ, მარგარიტავ”)

სიტყვა “თავისუფალი”, რომელიც რიტმულ-ინტონაციურად გამოიყოფა, სტროფში სემანტიკურად უმნიშვნელოვანები სიტყვაა. რომანტიკული გენტისის მხატვრულ სახეში “თავისუფალი ღრუბლი” განკერძოებულია ცნება “თავისუფალი” და ამ გზით აქცენტირებული თავისუფლებისაკენ სწრაფვის მარადიული იდეა. ანუამბემანისათვის დამახასიათებელი სიტყვის ეს განკერძოება და დაუსრულებლობის ინტონაცია თითქოს მარტოსული ადამიანის მარადიული ხეტიალის ილუზიას ქმნის.

გავიხსენოთ გალაპტიონის იმპრესიონისტული მანერით შესრულებული ლექსის ცნობილი სტრიქონები:

**ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშეელა  
არ გავიარე - რაა მამული?!  
(“მამული”)**

ბალახზე შიშველი ფეხით გავლა, მიწის სიგრილის ფიზიკური განცდა პოეტის მიერ გაიგივებულია მამულის ფიზიკურ შეგრძებასთან, რაც სამშობლოს სიყვარულის მაღალ იდეას უინტიურეს ელფერს აძლევს. იმპრესიონისტული სახის ორიგინალურობა ეფუძნება სენსორული შეგრძების განპოეტურებას, ამიტომ სრულიად კანონზომიურია, რომ ამ შეგრძნების აღმნიშვნელი სიტყვა “ფეხშიშეელა”, როგორც გადმოცემული აზრის ლოგიკურ-ემოციური ცენტრი, გალაკტიონმა გადატანის ხერხით წარმოაჩინა.

ანუამბემანისათვის უცხო არ არის ოქმატურად თუ იდეურად მნიშვნელოვანი მომენტების გამახვილება.

საპროგრამო ლექსში “ქართვლის დედას” ილია ერის სამოქმედო გეგმას გადმოგვიშლის და მის ხორცშესხმაში უდიდეს როლს ქალს, ქართველ დედას აკისრებს, დიდაქტიკურ-რიტორიკულ მიმართვას პოეტი ასე ამთავრებს:

**აქ არის, დედავ, შენი მადალი  
დანიშნულება და საღმრთო ვალი!**

როგორც ვხედავთ, გადატანის გამო გათიშულია მსაზღვრელ-საზღვრული “მაღალი დანიშნულება”. ქალთან მიმართებაში ეპითეტი “მაღალის” წარმოჩენა ანუამბემანის ხერხით გულისხმობს შინაგან დაპირისპირებას ტრადიციულ თვალსაზრისთან, რომელიც ქალს ოდენ “ქსლის მბეჭველის” როლს აკუთვნებდა. გადატანა, ფაქტიურად, წინ წამოსწევს ლექსის თემას - ქალის მაღალ დანიშნულებას ქვეყნის მომავლისათვის ბრძოლაში.

ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებში ანუამბემანის მეშვეობით იდეურად ღირებული აზრობრივი ცენტრები გამოიყოფა.

გაუაფშეველას “ბაკური” ვაჟაპაშისა და კაცური დირსების განმადიდებელი ბალადაა. ალექსი მოქცეულმა გმირმა თავისი ხელით დახოცა ცოლ-შვილი და თვითონაც გმირულად შეაკვდა მტერს. ბაკურის პიროვნული ღირსება და მისი “სასტიკი პუმანიზმით” აღბეჭდილი საქციელი - ცოლ-შვილის დახოცა, ე.ი. ბალადის იდეური ჩანაფირებისათვის უმნიშვნელოვანები მომენტები - ანუამბემანით არის გამოყოფილი:

**მე რა ვთქვა? უნდა კაცობა**

ბაკურმა დაიკვეთსა.

**“ისევ მე დაგხოცო!“ - და ცოლ-შვილს თავები დასჭრა წამზედა.**

იდეურ-აზრობრივად უმნიშვნელოვანები ადგილია გამოყოფილი გადატანის მეშვეობით ილიას “განდეგილ შიც”. გავიხსენოთ მწირის ცნობილი პასუხი მწევების ქალისადმი, საიდანაც იწყება მისი სულიერი წონასწორობის რღვევა:

**სხინა უველგან არის - ხოლო გზა სხინისა ასეთი მერგო მე... უბედურსა.**

მეტად საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე აკაკის “თორნიკე ერისთავში”. გავიხსენოთ პოემის ცნობილი პასაჟი:

მაგრამ სულმნათსა საქართველოსას,  
ღვთისმშობლობა დღეს, ერთი სიზმარი  
**ენახა:** ქვეყნად ჩამოსულიყვნენ  
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.

დამოწმებულ სტროფში ანუამბემანი გამოყოფს სინგაგმას “სიზმარი ენახა“. ერთი შეხედვით, სიტყვა “სიზმარის” წარმოჩენა თითქოს არაფრით არის გამართლებული, რადგან იგი არ არის სტროფის აზრობრივი ცენტრი. მიუხედავად ამისა, პოეტი მაინც გამოყოფს სიტყვა “სიზმარს”, რადგან მას აკაკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: აქ განხორციელებული დიდი პირობითობა, ანუ სხვადასხვა გაოქის ისტორიულ პირთა ერთ დროით ლოკალში მოქცევა რეალისტი პოეტის მიერ სიზმრით არის მოტივირებული. ამრიგად, ამ შემთხვევაში სიტყვა “სიზმრის” აქცენტირება შემოქმედის ესთურიკური პოზიციის ანარეკლიად და იგი გადატანაშია ფიქსირებული.

ამრიგად, ანუამბემანი ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა ლექსში ე.წ. აქტუალური დაყოფის განსახორციელებლად, რაც გადატანის კომუნიკაციური ფუნქციის არსეს ქმნის. ამის საფუძველზე შესაძლებელია აზრობრივად მნიშვნელოვანი სიტყვების გამოყოფა, მათი დაპირისპირება, ნაწარმოების თემატური და იდეურ-შინაარსობრივი ცენტრების აქცენტირება, იშვიათ შემთხვევაში კი - ავტორის კონცეფციის უშუალო რეალიზაცია, მისი ესთურიკური პოზიციის ასახვაც კი.

\*\*\*

გადატანაში სიტყვის რიტმულ-ინტონაციურ გამოყოფას მხოლოდ კომუნიკაციური ფუნქცია არა აქვს, იგი ექსპრესიულ ხასიათსაც ატარებს. ანუამბემანი ტაქტის ბოლოში ნაცვლად დაბალი, ჩუქმი კადენციისა გაძლიერებულ ინტონირებას, ხმის ამაღლებას იწვევს (მ. გრამონი - 20, 158), რაც ბაზისია გადატანის ექსპრესიული ფუნქციის განსახორციელებელისათვის. ანუამბემანი გამოიყენება “არამარტო რიტმის მონოტონის დასარღვევად, არამედ ლექსისათვის მეტი გამომსახველობის მისანიჭებლად“ (37, 441).

ანუამბემანის ექსპრესიული ფუნქცია მეტყველების გამომსახველობის გაძლიერებაში ვლინდება. იგი ემოციურად შეფერილი მეტყველებით გვიმებულს ავტორის, პოეტის მიმართებას გადმოცემულ ფაქტთან და მოვლენასთან. ზოგიერთი

მკვლევარი გადატანას პირდაპირ უკავშირებს შინაგან მდელგარებას, ემოციურობას. მიუთითებენ, რომ ანუამბემანი ემოციური კვანძია, რომელიც ლექსში უმაღლესი დაძაბულობის წერტილს აღნიშნავს (33, 45).

გადატანის ექსპრესიულობაც, მსგავსად კომუნიკაციური ფუნქციისა, მის სტრუქტურულ საფუნველს - სინტაქსურ ფუნქციას ეფუძნება. გადატანის პოზიციაში მოქცეული სიტყვა განკერძოებულობის, იზოლაციის გამო იტვირთება ექსპრესიული მახვილით, რაც ინტონაციურად ფორმდება - ემოციური საწყისი კომუნიკაციურ-აზრობრივ მომენტან შედარებით წინა პლანზე წამოიწევს. დავიმოწმოთ ი. ჭავჭავაძის ცნობილი სტრიქონები:

მესმის, მესმის სანატრელი  
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!  
(\*\*\*მესმის, მესმის\*)

ეს ლექსი, გავრცელებული ვერსიით, გამოძახილია იგალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, თუმცა პოეტის ზოგი თანამედროვე ამ ნაწარმოებს ბატონყმობის გადავარდნას უკავშირებდა. ასეა თუ ისე, “მესმის, მესმის” გადმოსცემს პოეტის სიხარულს მნიშვნელოვნი ისტორიულ თუ სოციალურ ფაქტთან დაკავშირებით. შემთხვევითი არაა, რომ ლექსი გადატანით იწყება - დისლოკაციის გზით გათიშულია მსაზღვრელ-საზღვრული - “სანატრელი ხმა”. ავტორის განცდა მხოლოდ სიტყვიერად არ არის გადმოცემული, “სანატრელის” ინტონაციური გამოყოფით მარტო აზრობრივი აქცენტირება არ ხდება. ანუამბემანის მეშვეობით გარეგნულ გამოხატულებას პოულობს მეტყველების ემოციური შინაარსიც - მდელვარება, სიხარული და აღტაცება ლირიკული გმირისა.

თუ ლირიკაში განცდის გადმოცემა უშეალოდ ხდება, ეპიკაში, მისი ჟანრული სპეციფიკის გამო, იგი უკან იწყებს, ინილება. ამიტომაა, რომ ბალადებსა და პოემებში ემოციის ექსპრესიული გამოხატვა ხშირად ანუამბემანს ეკისრება.

რამდენადაც გადატანა გარეგნული გამოხატვა სიტყვის მიღმა შეფარული გრძნობადი მდგომარეობისა, ანუამბემანი გამოდის, როგორც ქვებექსტის რეალიზაციის საშეალება. როდესაც გამოსახული მოვლენის მიღმა მკითხველი აღმოჩენს შეფარული დაფარულ, სიდროიკულ ფენას, ის სწოდება ქვებექსტს. გადატანაში ეს ქვებექსტი ექსპრესიულ გამოსახვას პოულობს და გვიჩვენებს ავტორის ან გმირის ემოციურ მიმართებას მოვლენისადმი.

6. ბარათაშვილის პოემაში “ბედი ქართლისა” მეფე ერეკლე და სოლომონ მსაჯული მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის სახელმწიფო მოღვაწენი კი არ არიან, არამედ ემოციური ბუნებით განსხვავებული პიროვნებანიც. ეს ემოციური განსხვავებულობა სიტყვიერ პლანში ნაკლებად იგრძნობა - ჩვენს წინაშეა ორი განბრძობილი, ღრმა ანალიტიკური გონებით დაჯილდოებული ადამიანი, რომლებიც პრინციპულ კამათ-შიც ინარჩუნებენ წონასწორობას, სიდარბაისლეს,

ეტიკეტის გრძნობას. სამაგიეროდ, მოსაუბრეთა ემოციური განსხვავებულობა, მათი შეფარული შინაგანი მდგომარეობა ექსპრესიულ გამოვლენას გადატანაში პოულობს.

მეფის ტექსტში თუმც გვხვდება თითო-ოროლა გადატანა, მისი მონოლოგები მაინც რიტუალისინტაქსურად გაწონასწორებული ლექსითა დაწერილი, სოლომონის მსჯელობებში კი იმდენად ხშირია ანუამბემანი, რომ იგი ადვილად შესამჩნევია. ჩვენი აზრით, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

მეფის მსჯელობასა და მეტყველებაში იგრძნობა თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკაში დრმად გარკვეული კაცის თავდაჯერებული ტონი, სიტუაციის რეალისტურ ინტერეტაზე დაფუძნებული რწმენა საკუთარი პოზიციის ჭეშმარიტებისა. სოლომონის არგუმენტაციაც, მართალია, ისტორიულ ანალიზს ეფუძნება, ოდონდ მის ტონს განსაზღვრავს პრობლემისადმი იდეალურ-რომანტიკული მიდგომა, არა მკაცრი რეალიზმი, არამედ - ემოციურობა. სოლომონის ეს ემოციურობა იმდენად სიტყვიერ შინაარსში არ იჩენს თავს, რამდენადაც ხშირ ანუამბემანში.

მეფე ერეკლე აჯამებს თავის ნაფიქრ-ნაზრებს და მსაჯული ისტორიულ გადაწყვეტილებას ამცნობს:

მას მსურს, რომ მივსცე მემკვიდრეობა  
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა.

ამ სიტყვებს მოსდევს მოულოდნელობისაგან გაოგნებული სოლომონ მსაჯულის ვრცელი ტირადა, რომელიც დასერილია არაერთი გადატანით. არგუმენტირებული მსჯელობის მიღმა ანუამბემანი გვაგრძნობინებს იმ ემოციურ მდელვარებას, რასაც პოეტი სიტყვიერად “განცვიფრებას” უწოდებს: “ამის გამგონი ჩვენი მსაჯული // უსმენდა მეფეს განცვიფრებული“.

ასელა მოვუსმინოთ სოლომონს:

ჯერ სამაგისო რა გვემართება,

რომ განვისყიდოთ თავისუფლება?

იცი, მეფეო, რომე ივერნი

იქნებიან რუსთ ხელო ბედნიერნიი?

სახელმწიფოსა ერთობა სჯულის

არარას არგებს, ოდეს მის შორის

თვისება ერთა სხვადასხვაობდეს...

თუ სოლომონის გამჭრიასი გონება მისი მონოლოგის სიტყვიერ შინაარსში ჩანს, მისი მოგანგაშე გრძნობა იმ გადატანებში აისახება, რომელიც მის მეტყველებას დაძაბულ, მდელვარე ინტონაციას აძლევს.

მიუხედავად სოლომონის არგუმენტებისა, ერეკლე თავის გადატყეტილებაში ურყევია, რადგან ქვეყნის ბედზე მასაც ბევრი აქვს ნაფიქრი. “მე ებუღები არ ვიცი, განა?” - ეკითხება იგი მსაჯულის, სოლომონის განცვიფრება თანდათან აღშუროებაში გადადის. პოეტი გვაუწყებს, რომ მსაჯულმა “ჰკადრა მეფესა აღშევება აღშევებაში”:

განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!

ირაკლიონ იცის, რომე ქართველებს

არად მიაჩნიოთ უბედურება,

თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქმეშ თავისუფლება!

სოლომინის სიტყვაურ ტექსტში მცირე მინიშნებაც კი არ არის აღშფოთებისა, აქ მხოლოდ თავისუფლების იდეის დაცვაა. პოეტის მიერ ნახსენები უმოციური მდგომარეობა - აღშფოთება მხოლოდ ანუამბემანში აირეკლება, როგორც გამოვლინება პიროვნების შინაგანი მდგომარეობისა.

ამრიგად, გადატანის ექსპრესიული ფუნქცია მეტყველების შინაგანი ვითარების - გრძნობად-გმოციური საწყისის წარმოჩენაში ვლინდება. გადატანის ემოციური შინაარსი ნაწარმოვბის კონტექსტით განსაზღვრული ფსიქოლოგიური შინაარსის მიხედვით სხვადასხვაგარია და, როგორც აღნიშნავენ, მოიცავს განცდათა უფართოეს გამას ყოფითი შევერილობიდან და კომიზმიდან მაღალ ტრაგიზმამდე (33, 48).

\*\*\*

ლექსის სემანტიკის ადიარებული მქალევარი იური ტინიანოვი აღნიშნავს, რომ ლექსში “საზღვრების ყოველგვარი ხაზგასმა სიტყვების გამოყოფის ძლიერ სემანტიკურ საშუალებას წარმოადგენს” (40, 63). სრულიად გასაგებია, რომ ამ საშუალებათა შორის იგი გადატანასაც ასახელებს, როგორც მეტრულ საზღვრაოთან დაკავშირებულ სპეციფიურ მოვლენას.

გადატანის სემანტიკის საკითხი მჭიდრო კავშირშია მეტრული რიგის ერთიანობისა და სიმჭიდროვის ცნებებთან. მეტრისა და სინტაქსის დაპირისპირება ანუამბემანში, როგორც უკვე ითქა, იწვევს სალექსო კონსტრუქციაში მოქცეული წინადაღების მეორეულ სინტაქსურ დაყოფას. გადატანისას სინტაქსური კავშირები იქმნება ისეთ სიტყვებს შორის, რომლებიც ბუნებრივ ვითარებაში ასეთ კავშირს ვერ დაამყარებდნენ. წარმოიქმნება ახალი სინტაგმები, ახალი აზრობრივი ნიუანსები. ანუამბემანის მქონე სტრიქონები გართულებული სემანტიკის მატარებელნი არიან.

ი. ჭავჭავაძის ლექსში “გახსოვს, ტურფავ...“ ვკითხულობთ:

**ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის  
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით.**

ჩვენს წინაშეა ძლიერი გადატანა, როდესაც ერთმანეთისგან გათიშულია არსებითი სახელი და თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედა (“სიყვარულის მეტს”). პირველ ტავში მკვეთრად გამოიყოფა ერთადერთი სიტყვა - “სიყვარულის”. მეტრული რიგის (ტავისი) ერთობა ისეთი ძლიერი ფაქტორია, რომ იგი მოუხედავად ძახილის ნიშნით ხაზგასმული შიდაპაუზისა, აზრობრივ სინტაქსურად აკავშირებს პირველი ტავის პრაქტიკული დაუკავშირებელ სიტყვებს, რაც მოვდან წინადაღებას ახალ აზრობრივ-სემანტიკურ ობერტონებს სძენს:

**ნეტავ იმ დროს სიყვარულის,  
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით.**

დაგიმოწმოთ ერთი ნიმუში ვაჟას “ბახტრიონიდან“:

ლურჯს ცხენზე იჯდა, ლამაზი  
სხივი თავს ადგა დვთიური.

ჩვენთვის უკვე ცნობილი ფაქტორების მოქმედებით ანუამბემანის შემცველი წინადაღება ასეთ აზრობრივ ტრანსფორმაციას გვაძლევს:

ლურჯს ცხენზე იჯდა ლამაზი,  
სხივი თავს ადგა დვთიური.

მაშასადამე, ნაცვლად “ლამაზი სხივისა“ მივიღეთ ახალი სინტაგმა “იჯდა ლამაზი“, რაც ინფორმაციას ახალი სემანტიკური აქცენტებით წარმოგვიდების.

მართალია, ახალი სემანტიკური ნიუანსების გაჩნიას დამოწმებულ მაგალითებში მეტრული რიგის მთლიანობა და სიმჭიდროვე განაპირობებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი წარმოიქმნება ანუამბემანის არსებობის პირობებში, რომლის გარეშე მეორადი სინტაქსური გადანაწილება არ მოხდებოდა.

გადატანის პოზიცია ძალიან ხელსაყრელია სიტყვაზე ექსპრიმენტის ჩასატარებლად. სიტყვა ამ პოზიციაში განსაკუთრებულ თვისებებს იძენს, რომელიც სემანტიკის სფეროსაც მოიცავს. მივმართოთ მაგალითს:

თითქოს რაიმეს ნიშნავს, რომ ბნელი  
დამით იმავე მეგობარს ელი.

(გ. ტაბიძე, “კაკლის ხე მთაწმინდაზე”)

გადატანაში გათიშულია მსაზღვრულ-საზღვრული - “ბნელი დამით“: ეპითეტი “ბნელი“ პირველ ტავშია დარჩენილი, ხოლო საზღვრული წევრი გადატანილია მეორე ტავში. პროზაულ მეტრულებაში სინტაგმა “ბნელი დამით“ განუყოფელი მთლიანობაა, სადაც ეპითეტი ანუ მსაზღვრული სიტყვა საზღვრულის თვისების აღმნიშვნელია. ლექსში “ბნელი“ განკერძოებულია საზღვრული სიტყვისაგან. მეტრული პაუზის მოქმედების შედეგად იგი კარგავს განსაზღვრების ფუნქციას, გარკვეული აზრით, დამოუკიდებლობას იძენს. ამის გამო ლექსიკურ ერთულები “ბნელი“ წინ წამოიწევს მისი ძირითადი ნიშანი, აგრეთვე ძირითად ნიშანთან დაკავშირებული მეორესარისხოვანი ემოციური ნიშნები, რასაც შეიძლება დაემატოს რიტმული სიმჭიდროვით გაპირობებული კავშირი მეტრული რიგის სხვა წევრებთან და ამ ნიადაგზე წარმოქმნილი ე.წ. მერხევი ნიშნები. ყოველივე ამის გამო, ანუამბემანით გამოცალკევებული განსაზღვრება “ბნელი“ “დამის“ ერთ ნიშანს - “სინტელეს“ კი ადარ გამოხატავს, არამედ გამოდის, როგორც სუბსტანცია “ბნელი“, რომელიც ილუზიური სუბიექტის როლსაც კი კისრულობს: მე („ბნელი“) დამით მეგობარს ველი. აქტიურდება “ბნელის“ თანმեლები ემოციური ასოციაციები და ახალი სინტაქსური კავშირით („ბნელი... ველი“) წარმოქმნილი აზრობრივი ნიუანსები.

ამრიგად, გადატანის პოზიციაში მოხვედრილი ზედამოართავი სახელი გაარსებითების, სუბსტანტიულის ნიშნების ამჟღავნების, აქტიურდება მისი

მეორებარისხოვანი და მერხევი ნიშნები. ეს ოკაზიონალური სუბსტანტიზაციის მექანიზმი გადატანას ჟფუმნება.

ანუამბემანს შეუძლია ერთი განსაკუთრებული ფუნქციის შესრულება, რაზედაც ჯერ კიდევ ი.ტინიანოვი მიუთითებდა - ეს არის გაქვავებული, წაშლილი მეტაფორის გაცოცხლება (40, 67). მეტაფორულ კლიშედ ქცეულ სიტყვაში აღდგება გადარეცხილი ორმაგი მნიშვნელობა, რაც ტრაკულობის საფუძველია.

ქართულ და აღმოსავლურ პოეზიაში ფართოდ არის გავრცელებული მეტაფორა “თმები-გველები”. გავიხსენოთ რესტოველი: “გველი მოშლით მოეკეცხეს...” ხანგრძლივი პერიოდის მანილზე ხშირი გამოქვების გამო ეს მეტაფორა იმდენად გაცვდა, რომ არამარტო პროზაში, არამედ ლექსშიც კი ტროპად ადარ აღიქმება. ოვისებრივად სხვა ვითარება იქმნება, როდესაც მეტაფორა-კლიშე გადატანის პოზიციაშია. ნ. ბარათაშვილი წერს:

შენი დალალნი ყრილობენ გველად  
საეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად...  
(\*\*\*\*შენი დალალნი\*)

გაიგივებაზე აგებული ტრადიციული მეტაფორული სახე ლექსში ძლიერ პოზიციაშია გატანილი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ანუამბემანის მოქმედებით ტაების ბოლოში მოხვედრილი სიტყვა განკერძოვდება, ერთგვარ დამოუკიდებლობას იძენს, ეს კი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის აღდგენა-გაცოცხლებას იწვევს. მეორეულ ნიშნებით ერთად, რაც ტროპის საფუძველია (მსგავსება ფორმის მიხედვით: “დალალი” // “გველი”), წინ წამოიწევს არსებითი ნიშანი, ე.ი. ხდება ორპლანიანობის და, მასთან ერთად, მეტაფორულობის აღდგენა.

სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის სრულ აღდგენას აბრკოლებს ანუამბემანის გადატანილი ნაწილი “საეტაკ მკერდზედა”. პირდაპირი მნიშვნელობის გაძლიერების მიუხედავად, შესიტყვება “გველი საეტაკ მკერდზედ” სიტყვა “გველს” გადატანით მნიშვნელობას უნარზუნებს. იქმნება სემანტიკური დაძაბულობა სიტყვის შიგნით, რაც წაშლილი მეტაფორის ინერციული მდგომარეობიდან გამოყვანას, გაცოცხლებას განაპირობებს.

\*\*\*

ჩვენ ვისაუბრეთ ანუამბემანის ძირითად ფუნქციებზე და ისიც აღვინშნეთ, რომ მოტივირების გარეშე გადატანა კარგავს მხატვრულ ფუნქციას და ტექნიკურ წუნადაც კი აღიქმება. მაგრამ ამ აზრის აბსოლუტიზაცია არ შეიძლება, არ შეიძლება ყოველი ანუამბემანის კონკრეტული ფუნქცია ვაძიოთ მაგალითად, რესული ლექსის ცნობილი უცხოელი მკვლევარი ბ. უნგებაუნი ა. კუშკინის “ბრინჯაოს მხედრის” ხშირ გადატანებში რიტუელ ტრიუქებს ხედავს. მართალია, ამ კონკრეტული ნაწარმოების მიმართ ეს მოსაზრება უარყოფილია (31, 29), მაგრამ ანუამბემანის არამოტივორებული გამოყენების შესაძლებლობა მაინც არსებობს.

დაგაკვირდეთ გ. ტაბიძის ლექსს “ჟღერს აღ-

მართი”:

ბარათაშვილის ჟღერს აღმართი:  
ოცნებას მე ვის მოვახმარდი,

თუ არა თბილისე?! ულამაზესე?!  
არ მიფიქრია სულ ამაზეც...

აღმართს ცრემლი სდის და ამინდი  
კი ბრწყინვალეა, დინამიტი

კლდეებს აფეთქებს, ამავე დროს,  
როსმე უვალ გზად, აწ საეროს,

ახალთა მერანთ ჩანს ნავარდი.  
ბარათაშვილის ჟღერს აღმართი!

ლექსს, როგორც ვხედავთ, მიპყვბა მკვეთრი ტაებობრივი და სტროფული ანუამბემანები, რომელთა ფუნქციის დადგენა ძალიან ძნელია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გალაპტიონი გადატანის ფორმალური ეფექტებით ტპება, თითქოს მისი შესაძლებლობების დემონსტრირებას ახდენს. თუმცა, როდესაც ლექსის ისეთ უდიდეს ხელოვანთან გვაქვს საქმე, როგორიც გალაპტიონია, დიდი სიფრთხილეა საჭირო. ამიტომ მიუხედავად ზემოთქმულისა, განსხვავებული აზრიც იბადება. გალაპტიონი ლექსს იწყებს და ამთავრებს სტრიქნით: “ბარათაშვილის ჟღერს აღმართი”, ამიტომ გაბმული ტაებობრივი და სტროფული ანუამბემანებით შექმნილი ინტონაცია შეიძლება აღიძეოთ, როგორც არაორდინარული სახის (“ჟღერს აღმართი”) ბეგრითი “დასაბუთება”.

ვ. ჟირმუნსკი აღნიშნავს, რომ ანუამბემანის აზრობრივი გამომსახველობის ფუნქციით გამოყენება გადატანათა საერთო რიცხვის მხოლოდ უმცირეს წილს შეაღგენს (20, 159), ამიტომ ანუამბემანთა დიდი წილი შეიძლება გავიაზროთ, როგორც თავისუფალი ამოსუნთქვა, ერთგვარი “ამოვარდნა” რიტმის მომაბეზრებელი ერთფეროვნებიდან. ანუამბემანის მხატვრულ ფუნქციაზე საუბრისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ “გადატანის მხატვრული მნიშვნელობა თვით მეტული და სინგაქსური დაყოფის შეუთავსებლობის ფაქტში მდგომარეობს და აღიქმება, როგორც ინდივიდუალური დარღვევა ერთფეროვანი, “ნორმალური” სინგაქსური კომპოზიციისა (20, 159).

\*\*\*

ქართულ პოეზიაში ანუამბემანი არ არის სალექსო სტრუქტურის პირველხარისხოვანი ელემენტი. ქართული ლექსის მრავალსაუკუნოვანი ისტორია რიტმულ-სინტაქსური თანხმიდებისადმი პრინციპულ ერთგულებას ცხადყოფს. მიუხედავად ამისა, გადატანის, როგორც პოეტური ხერხის, არსებობა უდავო ფაქტია ბოლო ორი საუკუნის ეროვნულ პოეზიაში, ამიტომ ამ მეტად თავისებული რიტმულ-ინტონაციური ფიგურის შესწავლა, ვფიქრობთ, ამათ გარჯად არ ჩაითვლება.

**შეხილვები:**

1. ბარათაშვილი მ. სწავლა დექსის თქმისა, აკ. ხინობიძის რედაქციით, თბ., 1981.
2. ბუალო ბ. პოეტური ხელოვნება. თარგმანი ფრანგულიდან მ. მენაძეისა, თბ., 1998.
3. გაწერელია აკ. ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953.
4. თევდორაძე ი. ქართული ენის პროსოდის საკითხები, თბ., 1978.
5. ლიტერატურის თეორიის საფუძლები, თბ., 1986.
6. მიქაძე გ. ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974.
7. კლებტი ს. ქართული ენის რიტმულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963.
8. ხინობიძე ა. აკაკის ლექსი, თბ., 1972.
9. ხინობიძე ა. ლექსმცოდნების საკითხები, თბ., 1965.
10. ხინობიძე ა. ქართული ლექსმცოდნება, თბ., 1992.
11. ხინობიძე ა. ცეზურა ქართულ ლექსში და გურამიშვილის ვერსიფიკაცია, თბ., 1990.
12. Абрамович Г.Л. Введение в литературоведение, М., 1961.
13. Беляев В.Ф. Основная терминология по метрике и поэтике. - წიგნი: Ахманова О.С. Словарь лингвистических терминов, М., 1969.
14. Брик О. Ритм и синтаксис. - "Новый Лейф", 1927, №5.
15. Винокур Г. Слово и стих в "Евгении Онегине". - Ізд. "Пушкин", М., 1941.
16. Гаспаров М.Л. Ритм и синтаксис: происхождение "лесенки" Маяковского. - "Проблемы структурной лингвистики" - 1979, М., 1981.
17. Гончаров Б.П. Звуковая организация стиха и проблемы рифмы, М., 1973.
18. Гуковский Г.А. Пушкин и проблемы реалистического стиля, М., 1957.
19. Дьяконова Н.Я. Китс и его современники, М., 1973.
20. Жирмунский В.М. Теория стиха, Л., 1975.
21. Златоустова Л.В. О ритмических структурах в поэтических и прозаических текстах. - წიგნი: Звуковой строй речи, М., 1979.
22. Зубова Л.В. Языковый сдвиг в позиции поэтического переноса. - "Проблемы структурной лингвистики, 1985-1987", М., 1989.
23. Калачева С.В. Стихи и ритм, М., 1978.
24. Квятковский А. Поэтический словарь, М., 1966.
25. Ковтунова И.И. Порядок слов в стихе и прозе. - Ізд. "Синтаксис и стилистика", М., 1976.
26. Корман Б. К определению переноса (enjambement). - "Русская литература", 1963, №3.
27. Краткая литературная энциклопедия, т. 2, М., 1964.
28. Лобанова М.С. Синтаксическая характеристика стихового переноса (на материале русской поэзии XVIII - первой половины XIX в.), Л., 1981 (საკანონია დისერტაციის ავტორუფერატი).
29. Литературные манифесты западноевропейских романтиков, М., 1980.
30. Опиц М. Книга о немецкой поэзии. - Литературные манифесты западноевропейских классицистов, М., 1980.
31. Поспелов Н.С. Синтаксический строй стихотворных произведений Пушкина, М., 1960.
32. Тимофеев Л.И. Основы теории литературы, М., 1971.
33. Тимофеев Л.И. Очерки теории и истории русского стиха, М., 1958.
34. Тимофеев Л.И. Слово в стихе, М., 1982.
35. Тимофеев Л.И., Тураев С.В. Словарь литературоведческих терминов, М., 1973.
36. Томашевский Б.В. О стихе, Л., 1929.
37. Томашевский Б.В. Стилистика и стихосложение, Л., 1959.
38. Томашевский Б.В. Стихи и языки, М-Л., 1959.
39. Томашевский Б.В. Русское стихосложение, Пб., 1923.
40. Тынянов Ю.Н. Проблемы стихотворного языка, Л., 1924.
41. Холшевников В.Е. Основы стиховедения, Л., 1972.
42. Щерба Л.В. Фонетика французского языка, изд. 2, Л., 1936.
43. Эйхенбаум Б.М. О поэзии, Л., 1969.
44. Arndt E. Deutsche Verslehre, Berlin, 1984.
45. Desfeuilles P. Petit traité de versification française - წიგნი "Dictionnaire de rimes", Paris, 1961.
46. Taranovsky K. Some Problems of Enjambement in Slavic and Western European Verse. - "International Journal of Slavic Linguistics and Poetics", VII, 1963.



**Teimuraz Doiashvili.**

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgian Academy of Sciences*

## **Enjambement**

### Summary

In this work the specific rhythmical-syntactic figure of the versification structure called enjambement has been monographically studied, based on the material of centuries-old Georgian poetry and in view of European (French, English, German and Russian) poetry and scientific literature. As a result of this diachronic research it has been ascertained that formal indications of Enjambement could be found in 10<sup>th</sup> century Georgian poetry, in iambic versification form; and since the 12<sup>th</sup> century in secular poetry (Chakhrukhadze, Shavteli, Rustaveli) as well. As in the European literatures, Enjambement in Georgian poetry was turned into a deliberate poetic device in the 19<sup>th</sup> century by the romanticists. The present work provides an attempt to specify the definition of Enjambement: along with the discrepancy of the metric and syntactical division, a presence of the inner pause in the depth of the line is essential for the formation of Enjambement. As a specific poetic device it has been a matter for special study. By analysis of appropriate materials a polyfunctional essence of Enjambement is revealed, namely, its communicative, emotional, expressive and semantic potential has been shown.

